

საქნახშირი

პრესრელიზი

“საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“-მა გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე
მორიგი მწვანე აქციით აღნიშნა

კომპანია უერთდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს დაცვის საერთაშორისო დღისადმი ჩატარებულ ღონისძიებებს. „მწვანე საფარის აღდგენის“ ფარგლებში კომპანიამ ტყიბულში “მომავლის ხეივანში” კიპარისი დარგო .

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“-ის მემბრტეებმა თბოელექტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ „მომავლის ხეივანს“ კიდევ 50 ძირი კიპარისი შემატეს. “საქნახშირი ჯი-აი-ჯი ჯგუფი“, როგორც სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კომპანია აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ეკო პროექტებსა და ბუნების დაცვის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებში. პროექტ „დატოვე შენი მწვანე კვალის“ ფარგლებში საქნახშირი შემეცნებით, საგანმანათლებლო და სხვადასხვა აქციებს უკვე ტრადიციულად აწყობს.

05.06.15

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიძიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

